ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს წევრთა ელექტრონული გამოკითხვის შედეგები
ოქმი №5

თბილისი, 24 თებერვალი 2026 წელი

დღის წესრიგი

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ;

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი

გაცნობისა და ელექტრონული გამოკითხვის ჩატარების საფუძველზე დამტკიცების მიზნით, საბჭოს წევრებს დაეგზავნათ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი პროგრამა) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 274):

➢ *ცვლილება:* ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის (ინგლისურენოვანი პროგრამა) ხელმძღვანელის ცვლილება.

ცვლილების აღწერა: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელის, თსუ ასოცირებული პროფესორის დოქტორ ზურაბ აბრამიშვილის თანამდებობიდან წასვლის გამო აღნიშნული პროგრამის ამჟამინდელი თანახელმძღვანელის, თსუ ასისტენტ-პროფესორის დოქტორ გიორგი ფირიაშვილის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელად დანიშვნა.

საფუძველი: თსუ ასოცირებული პროფესორის დოქტორ ზურაბ აბრამიშვილის თანამდებობიდან ნებაყოფლობით წასვლა (მის მიერ გაკეთებული განცხადების საფუძველზე).

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ (ინგლისურენოვანი პროგრამა) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 82):

➢ **<u>ცვლილება:</u>** ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი პროგრამა) ხელმძღვანელის ცვლილება.

ცვლილების აღწერა: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელის, თსუ ასოცირებული პროფესორის დოქტორ ზურაბ აბრამიშვილის თანამდებობიდან წასვლის გამო აღნიშნული პროგრამის ამჟამინდელი თანახელმძღვანელის, თსუ ასისტენტ-პროფესორის დოქტორ ნიკოლოზ ფხაკაძის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად დანიშვნა.

საფუძველი: თსუ ასოცირებული პროფესორის დოქტორ ზურაბ აბრამიშვილის თანამდებობიდან ნებაყოფლობით წასვლა (მის მიერ გაკეთებული განცხადების საფუძველზე).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 23 წევრმა.

3. დადგინეს: დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ეკონომიკა“** (ინგლისურენოვანი პროგრამა) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 274) და **ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში „ეკონომიკა“** (ინგლისურენოვანი პროგრამა) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 82) წარმოდგენილი ცვლილებები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

დეკანი, პროფესორი **ბ. ფაღანიძე**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **ლ. თოთლაძე**